თანასწორობის მოძრაობის საქმიანობის ანგარიში 2019

საქმიანობის ანგარიში

2019

2019 წლის განმავლობაში „თანასწორობის მოძრაობა“ აქტიურად მუშაობდა ლგბტქ თემის გაძლიერებისთვის. წარმოგიდგენთ, მოკლედ, ჩვენ მიერ გაწეულ შრომასა და გამართულ აქტივობებს, რომელიც 2019 წლის განმავლობაში განვახორციელეთ.

2019 წელს ჩვენი მიზნები იყო:

- ლგბტქ თემის წარმომადგენელთათვის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ლგბტქ თემის მობილიზაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ლგბტქ თემის წარმომადგენლების გაძლიერებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი მიღება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. 19.05.2019

ქვიარ თემის წარმომადგენლების წვდომა ჯანდაცვისა და სოციალურ მომსახურებებზე

„თანასწორობის მოძრაობა“ ლგბტქ და მსმ თემის წარმომადგენლებს აძლევს აივ/შიდსზე წერწყვისა და კაპილარული სისხლის სწრაფი ტესტირების შესაძლებლობას; ატარებს ცნობიერების ასამაღლებელ შეხვედრებსა და საინფორმაციო კამპანიებს აივ/შიდსისა და ლგბტ+ საკითხების მიმართულებით.

აივ/შიდსთან დაკავშირებული სათემო შეხვედრები ჩატარდა 1 500 ადამიანისთვის თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავსა და ზუგდიდში.

სწრაფი ტესტირება აივ/შიდსზე ჩაიტარა 2 000-მდე ადამიანმა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდსა და თელავში. ქვეყნის ხუთივე რესურსცენტრში 30 000 კონდომი და 15 000 ლუბრიკანტი მიიღეს ბენეფიციარებმა.

2019 წლიდან „თანასწორობის მოძრაობას“ აქვს ახალი მობილური ამბულატორია, რომელიც გადასცა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულმა ცენტრმა.

ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის მომსახურება

ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის მომსახურება მიიღო 750-მდე ადამიანმა, ხოლო იურისტის მომსახურებით ისარგებლა 80-მა ბენეფიციარმა.

უკიდურესად პრობლემურ და გადაუდებელ შემთხვევებში 33 ბენეფიციარზე გაიცა 2912 ლარი.

ბენეფიციარებს დავეხმარეთ:

- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში;
- საცხოვრებელი ადგილის პოვნასა და სამსახურის ძებნაში;
- სხვადასხვა სამედიცინო და საჯარო ინსტიტუციასთან მედიაციაში;
- ადმინისტრაციულ, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებთან ურთიერთობისას;
- სისხლის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეებზე დაცვის განხორციელებაში;
- დაზარალებულის სტატუსის მიღებაში გამოძიების პროცესში;
- გავუწიეთ სამართლებრივი კონსულტაცია სხვადასხვა სამართლებრივ თუ საყოფაცხოვრებო საკითხთან დაკავშირებით;
- ჰომოფობიური და ტრანსფობიური მოტივით ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევებში.

ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები

- თანასწორობის მოძრაობის ვებგვერდზე გამოქვეყნდა 7 ბლოგი;
- ქართულად გადმოითარგმნა ქვიარ/ფემინისტი ავტორების 6 აკადემიური სტატია;
- ჩატარდა 6 ლექცია, რომელსაც დაესწრო 83 ადამიანი;
- გადაითარგმნა 2 ქვიარ ფილმი ქართულ ენაზე.

კამპანიები

ონლაინ კამპანია #ვისაუბროთქამინგაუთზე. კამპანიის ფარგლებში თემის წევრებმა ბლოგების სახით ისაუბრეს გამოცდილებაზე ქამინგ აუთთან დაკავშირებით. კამპანიის შედეგად ამაღლდა ცნობიერება, როგორც თემის წევრების გამოცდილებების შესახებ, ასევე, ქამინგაუთის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებზე. ამავე დროს, მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია იმ წინააღმდეგობებსა და გამოწვევებზე, რომელსაც ლგბტქ თემის წევრები აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დაწყებულია ბულინგის, განსაკუთრებით ჰომოფობიური და ტრანსფობიური ბულინგის, წინააღმდეგ კამპანიის მზადება. კამპანიის ფარგლებში, გამოიცემა პუბლიკაცია/ჟურნალი ახალგაზრდებისთვის, ვიდეოების სერია, რომელიც შეეხება ამ მწვავე პრობლემას და მისი გადაწყვეტის გზებს და ბოლოს გამოქვეყნდება კვლევა, რომელიც დღის წესრიგში დააყენებს ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ ბულინგს, გაამჟღავნებს მის სიხშირესა და შედეგებს ახალგაზრდებზე.

ლგბტ თემის გაძლიერება და ინტეგრაციის ხელშეწყობა

„თანასწორობის მოძრაობის“ ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება “თანასწორობის ჯილდოს“ გადაცემის ცერემონია. წელს ჯილდო გაიცა 9 ნომინაციაში.

„თანასწორობის მოძრაობამ“ გასცა 3 მცირე გრანტი 6 000 ლარის ოდენობით. დაფინანსდა:

ქვიარ/ფემინისტური კითხვის წრე - სექსუალობისა და გენდერის საკითხებით დაინტერესებულთათვის;

ქალთა პალატა - პოდკასტების სერია, რომელსაც 17 000-მა ადამიანმა მოუსმინა;

Ball - დრეგ შოუების შეჯიბრი, რომელიც დრეგ კულტურის განვითარებას ისახავს მიზნად.

გავმართეთ პროფესიული ტრენინგები თემის წევრებისთვის

პროფესიული ტრენინგების მიზანია, რომ თემის წევრებს პრაქტიკულ პროფესიულ კურსებზე ხელი მიუწვდებოდეთ, რაც მათ სამომავლოდ დაეხმარებათ დასაქმებაში. პროექტის ფარგლებში ინგლისურის კურსები გაიარა თემის ორმა წევრმა, ხოლო ერთმა, ფოტოშოპის კურსი.

ორგანიზაციამ დააფინანსა ქვიარ ადამიანებისთვის განკუთვნილი პროექტების წერის, ფოტოგრაფიისა და სოციალური მედიის სკოლა, რომლებსაც 51 ადამიანი დაესწრო, მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

კვლევები და ანგარიშები

- სახელმწიფოს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა ლგბტ პირთა მიმართ გენდერული და სექსუალური ნიშნით განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით;
- ჰომოფობიური და ტრანსფობიური ბულინგი სკოლებში;
- აივ/შიდსისა და სგგი-ების მკურნალობის სერვისებში ჩართული მსმ და ტრანს ადამიანების კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევა საქართველოში;
- სამოქალაქო პარტნიორობის კვლევა;
- აივ კასკადი მსმ და ტრანს ჯგუფებში 2019;
- აივ/შიდსის სერვისებზე მიგრანტების ხელმისაწვდომობა;
- ქიმსექსისა და ნარკოტიკების მოხმარების პრაქტიკის კვლევა მსმ/ტრანს* პოპულაციაში;
- საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება: კანონმდებლობა და პრაქტიკის ანალიზი;
- სამართლებრივი გარემოს შეფასება;
- 2019 წლის ეროვნული ანგარიში გეი კაცების, სხვა მსმ-ებისა და ტრანს ადამიანების უფლებების (განსაკუთრებით ჯანმრთელობის უფლების) დარღვევის შესახებ.

აივ/შიდსის შესახებ სოციალურ ქსელში საინფორმაციო კამპანიის ბანერი

სტრატეგიული სამართალწარმოება და ადვოკატირება

„თანასწორობის მოძრაობა“ აგრძელებს მუშაობას 2 სტრატეგიულ სამართლებრივ საქმეზე. საქმეები ეხება გენდერის სამართლებრივი აღიარების მიღწევას და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დისკრიმინაციული ნიშნით.

2019 წლის დეკემბერში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, რომლის ერთერთი ინიციატორი „თანასწორობის მოძრაობაა“. საქმე ეხება ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებას, რომლის მიხედვითაც მსმ ადამიანების მხრიდან სისხლის დონორობა 10 წლით აკრძალული იყო.

ჩატარდა ორი ტრენინგი პოლიციელებისა და ექიმებისთვის, რაც ლგბტქ საკითხების მიმართ მათი მგრძნობელობის ამაღლებას ისახავდა მიზნად. ტრენინგებს 34 ადამიანი დაესწრო. ლგბტ საკითხების გაშუქების გაუმჯობესების მიზნით ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც დაესწრო 29 დელეგატი.

სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც აპარატი შეისწავლის თსსუ-ს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სახელმძღვანელოში დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტებს, რომელიც „თანასწორობის მოძრაობამ“ ამხილა. მესამე მხარედ ჩართულია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG).

2019 წელს დისკრიმინაციული, სიძულვილის ენის გამოყენების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით “თანასწორობის მოძრაობამ“ საჩივრით მიმართა საქართველოს პარლამენტის ეთიკის საბჭოს. საბჭოს ამ დრომდე დამტკიცებული არ აქვს დებულება და სხვა დოკუმენტები, საჩივარი განუხილველად დატოვა, რის შემდეგაც დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით, ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს.

ჰომოფობიის საწინააღმდეგო დღისადმი შექმნილი ბანერი, რომელიც თბილისის სატრანსპორტო გაჩერებებზე უნდა გამოფენილიყო, თუმცა კომპანია „ალმამ“ დისკრიმინაციული საფუძვლით უარი განაცხადა ბანერის განთავსებაზე.